ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს
საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი „_____" _____ 2019 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებელის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს შორის (შემდგომში - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი), წარმოდგენილი რექტორის მარინე იოსელიანის სახით (შემდგომში - მხარეები), გამოხატავენ რა აკადემიასა და ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.
მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას, აკადემიური (სამხედრო ინსტრუქტორები) და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და გადამზადებას, მათი პროფესიონალებად ჩამოყალიბების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაცის პროცესს.

მუხლი 2.
მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობით მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) განახორციელონ არსებული პროგრამების გარე ექსპერტიზა;
ბ) ორგანიზება გაუწიონ ერთიანი ლექცია-სემინარების ჩატარებას თემატურ საკითხებზე;
გ) განახორციელონ პროფესიული განვითარების პროგრამები და პროფესორ მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარების ერთობლივი სემინარები;
დ) განახორციელონ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და სხვა კულტურული თუ შემეცნებითი აქტივობები;

ე) განახორციელონ ერთობლივი საზაფხულო სკოლები;

ვ) განახორციელონ ერთობლივი გასვლები რეგიონებში და შეხვედრების ორგანიზება ადგილობრივ ახალგაზრდებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;

ზ) განავითარონ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

მუხლი 3.
დამატებითი პირობები

1. ეს მემორანდუმი დაფუძნებულია მხარეთა კეთილ ნებაზე. ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე და არ ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში;

2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან სამი წლის მანძილზე, თუ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეწყვეტის სურვილის შესახებ.

მუხლი 4.
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი მოქმედების განხორციელება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისათვის 30 (ოცდაათი) კალენდალური დღით ადრე, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში მხარეებმა შესაძლებლობის ფარგლებში მილევად რეჟიმში უნდა დაასრულონ ყველა ერთობლივად დაწყებული ღონისძიება;

4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარებად და ძალაშია სამი წლის მანძილზე მისი ხელმოწერის დღიდან. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ა(ა)იპ - ჯიპა -საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი

____

მარინე ჩიტაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

____

პოლკოვნიკი შამია ბალახაძე